

ივნისი
1934 წ.

ნენები

№ 14
თეატრული
ფასი 46 მ.

ნახ. დონის.

ზოგიერთი ორგანიზაციები მოს ავლის აღებისათვის მოსამზადებელ მუშაობას ბიუროკრატიულ - კანცელარული წესით ატარებენ.



შეაჩერებს?

თანამშრომელი: — მკათათვე მოდის!
გამბე: — (კარგად ვერ გაიგონა) შეაჩერე, დაუკითხავად არ შემოვიდეს!



„ჯერ მწარე ზაფხუ, კვლავ ტკბილი, თუ ექნება გენი-
მომხმობასა“. (გურამიშვილი)

ახალსენაკელებს თუმცა ძლიერ უყვართ პილიპოლი-
ნი და ცხარე საჭმელები, მაგრამ არც საშაქარლამოში
ნამცხვარ ტკბილეულობას იწუნებენ.

პირიქით, ცხარე საჭმელის შემდეგ უფრო კარგია
ტკბილეულობით პირის ჩაკოკლონიება!
ამიტომაც იყო, რომ ახალსენაკელი ცრუ-კოოპერა-
ტიული მეშაქარლამეები გასულ წლებში არ ყრიდებო-
დნენ ფოთის ნავთსადგურის საწყობებშიდან მოპარული
ფქვილით ტკბილეულობის გამოცხობას!

მათ მეტად საწყენად დაურჩათ, როცა ფოთის სა-
წყობის ორფეხა ვირთაგები ხაფანგში გადგნენ და მოეს-
მით საშვალეხა ნაპარევი ფქვილის შეძენისა.

მაგრამ ნაპარევი ფქვილით თუ არ შეიძლება ტკბი-
ლეულობის გამოცხობა, გეგმიანად მომარაგებული ფქვი-
ლით განთმცხვარი ტკბილეულობა ხომ არაფის ჩამწარ-
დება?

ამიტომაც შეადგინა ახალსენაკის რაიონისკომმა იქ
მრსებელი მატარა საშაქარლამოს ვაფართოების გეგმა
და ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინა დასამტკიცებლად
საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგემო
ქომისიას.

საგემო კომისიის ხელმძღვანელებმა თუმცა კარგად
თვლიდნენ, რომ ახალსენაკელებს საშაქარლამოს ტკბილი
ნანცხვრები არ აწყენდათ, მაგრამ, ვინაიდან მომარაგების
კომისარიატს ზუსტად უნდა ჰქონდეს აღებული აღრიცხ-
ვებზე ყოველგვარი სურსათ-სახოვავე, ამიტომ საჭირო
იყო მისი აზრის გაგება იმის შესახებ, — შეიძლება თუ
არა ახალსენაკელების მადის დაკმაყოფილება.

მიიღო თუ არა დასკვნისათვის მომარაგების კომი-
სარიატმა ეს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, — მისი გემოკვე-
ზის განყოფილების გამგემ ასეთი უგებური რეზოლუცია
წააწერა ზედ:

„საქართველოს მომარაგების კომისარიატი არ არის
წინააღმდეგი იარსებობს უკვე არსებულმა საშაქარლამომ
ახალსენაკში“.

სხარტად და გარკვეულად არის ეს რეზოლუცია
დაწერილი, მხოლოდ გაურკვეველია ხელმოწერა, ამი-
ტომ იძულებული ვართ მისი ფორტოგრაფიული ასლი
მოვითავსოთ აქ.

იეროგლიფის მცოდნეთა გამოკვლევით ეს ხელმო-
წერა უნდა ეკუთვნოდეს გვასალიას, მხოლოდ სახელის
პირველი ასოს ამოცნობა ვერაფერ შესძლო.

თუ სენაკელებს ტკბილეულობა უყვართ, რიონ გაღ-
მა მათ მეზობელ ლანჩხუთელებს ხილეულობა მოსწონთ,
— თუმცა არც ისინი იტყვიან უფარს ტკბილეულობაზე“.

მაგრამ, ვინაიდან იქაური ხილი მეტად წყლიანია,
ამიტომ ჩქარა ლებება, საჭიროა აუცილებლად მისი გან-
მობა, რომ შემდეგაც შეიძლებოდეს მითი პირის ჩატკბა-
რელება.

ლანჩხუთის რაიონისკომმაც შეადგინა გეგმა და
ხარჯთაღრიცხვა ხილის სახმომ ქარხნის შესახებ და წა-
რუდგინა დასამტკიცებლად იმავე საგემო კომისიას. სა-
გემო კომისიამ კი გადაუგზავინა დასკვნისათვის იმავე
მომარაგების კომისარიატს, საიდანაც მიიღო პირველზე

უფრო მოკლე, სხარტი, მაგრამ გაურკვეველი პასუხი:
„მიზანშეუწონელად იქნეს ცნობილი“.

რატომ და რისთვის იქნეს ცნობილი მიზანშეუწონ-
ლად, — ეს ალბად ამ კომისარიატის საიდუმლოებას
შეადგენს!

ვინაიდან არა ვართ მომზრე საიდუმლო დიპლომა-
ტიისა, — ასეთის მოსპობას ჩვენ ვცდილობთ მსოფლიო
მაშტაბით, — მით უმეტეს ვერ მოგიტყვით მის არსებობას
ჩვენსავე დაწესებულებაში. ამიტომ „ნიანგმა“ გადასწყვი-
ტა საჩქაროდ მიავლინოს დამკვერელი ბრიგადა მომარა-
გების კომისარიატში, — განსაკუთრებით კი მის გემო-
კვების განყოფილებაში, — საიდუმლო დიპლომატიის
აშოსაფხვრელად ძირიან-ფესვიანა.

ბრიგადა თან იმსაც შეამოწმებს, — მართლა გვასა-
ლიას ეკუთვნის თუ არა ამ რეზოლუციების? ატკორობა
და რა შექვიან მას სახელად...
ს. თ — ია.

საქმკერავტრეს ტში

ნახ. დონის.



— გთხოვთ დამიბრუნოთ ჩემ მიერ შემოტანილი
ტანსაცმელის შესაფერი ფული, ეს „ჩარლსტონი“ კოს-
ტიუმი არ მინდა, აღარ შეფერის ჩემს ჭალარას!

— ეს ხომ თქვენი შეკვეთის თანახმადაა შეკერი-
ლი?!

— კი, მაგრამ მაგ რომ შეგიკვეთეთ, მაშინ ახალ-
გაზრდა ვიყავი ახლა კი თქვენ თვითონ მხედავთ რაცა-
ვარ!..

კისლოვოდსკის ზიკინა

(გადმოკეთებული დევიან

ბედნის ლეგნიდან „კრაკა დილის“ ილუსტრაციებით)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადრის ტურფა გაზაფხული,
აგვიტოვო შევებით გული.

ვერაფერი ვერ დააკლეს,
როს გაუგებს ეს ამბავი.

ქსელის ძაფი კი, ცხადია,
ორდერიძე ვანოა,
ან ჭიჭიკო კვაჭ' ეა,
ის კურორტზეც წამოვია;

ოფიანობა
მთ-ვარ ბუნის
აკაკანდა
როგორც კრუხი.

ოლია კი—ვაჭრის ცოლი
ჟურს რომ უმოკლეს საყურე,
კისლოვოდსკში იყო როგორც
„შინამოს-მსახურე“.

წავალ, ვნახავ ორდერიძეს
ან კვაჭაძეს ჭიჭიკოს
მოუფლები კაბინეტში
ვეტუვი: „ჩემო ბი-ჭი-კო“.

— კითხეთ, — გვითხრას,
ვინაც უშვებს
ლოწუნებს:
კურორტები — მუშებს

ზღვაზეც ქონდა „პუტიოვკა“;
ზღვის ტალღებსაც შეება,
ტანი ქონდა როგორც მორგვი,
როგორც რუმბი ვება.

ხომ უყურებ ჩვენს ქალაქში
რა უხამსი დარია
ეთერივით ვიტანჯები
მომისმინე აბ.ია.

მე—ოფიანის
დიასახლისს
არ ვკიდევარ
რაკი სახნისს

მუშის ორდერს მე კურორტზე
გას ვზავნად მიშოვიდე,
მომიტანდე გამგზავნიდე,
ეგებ ცოტა მოფელობინ-დე-ე-ე!

ან დაზვიდან
თუ ვარ შორა,
მეთქმის ვანა
მუქთახორა?



„შრომის გმირად“ თვლიდენ,
რადგან,
ყავდა „ზელის ვაჭრობი“...
ერთ კურორტზე მეც გამგზავნეს,
როგორც მუშა — „ამწყობი“

დროა შეწყდეს ეს სიმღერა!
დროა დავტოვოთ ძაფები
დავტოვოთ ძაფი, ქსელს რომლითაც
ხლართავენ დაწაფებით.

წავალ, ვნახავ ორდერიძეს,
ან კვაჭაძეს ჭიჭიკოს,
მოუფლები კაბინეტში,
ვეტუვი: „ჩემო ბი-ჭი-კო“, —

ვინც გამგზავნა აქ მე მისთვის
საჭაბურებს ვაცხოვდი,
ვით „ამწყობი“ გამგზავნეს და
მეც, ცხადია, — „ვაწყობი“...

ამ საქმისთვის ფელეტონიც
აქ იმითამ გვიძღვნია,
რომ ჩვენ ყალბი ორდერები,
წინ დასტობით გვიწყვია.

ხომ უყურებ, ჩვენს ქალაქში
რა უხამსი დარია,
ვიტანჯები,
ვით ეთერი,
მომისმინე არია:



მათ ამოწმებს კანტროლი და
მალე ისიც მოხდება,
რომ მის დამწერს, იმის გამცემს,
თუ გადამცემს მოხვდება;

„მუშის ორდერს მე კურორტზე
გასავზავნად მიშოვიდე,
მომაწვდიდე, გამგზავნიდე,
ეგებ ცოტა მოფელობინდე“

წამწამები ღამეს მიგავს,
ღოყები მაქვს როგორც ბროლი.
რომ გამიგონ ეშმაკობა,
რას დამაკლებს მე კონტროლი?

ვაწყობი ქსელს ზვარაკათვის,
ბაემნებს, ნაცნობობას.
და ვაბ. ჯი ყველას ისე,
როგორც ქსელში ობობას.

გაფრთხილება იყოს მკაცრი,
(მკაცრი—კი არ ეთხოვოს!)
ყალბ ორდერის შოვნის იმედს
ყველა გამოეთხოვოს!

„დაზვის მუშად“ შარშან ზინამ
გასახლა ჩემებრ თავი,

გ—ზა.


ნიანგის ბრძანებები

კომუნისტური პარტია

მე,—ნიანგი, — მმუსრავი მანებლებისა, ბიუროკრატებისა და კულაკებისა, მტერი და ორგული კაპიტალისტებისა და მათი აგენტებისა, მენშევიზმისა, პაციფიზმისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა:

ებრძანებ:

1. დაჯილდოვებულ იქნეს ნიანგის ორდენით: ტფილისის სატელეფონო ქსელის დაზიანებათა ბიუროს მანტიორი მელკონიანი.
2. დაჯილდოვებულ იქნეს ნიანგის ორდენით ტფილისის სატელეფონო ქსელის სამმართველოს პირველი უზნის მანტიორი ჩანტიკიანი.
3. ჩაირიცხოს ნიანგის ორდენით დასაჯილდოვებულ კანდიდატთ ტფილისის სატელეფონო ქსელის დაზიანებათა ბიუროს გამგე კულინოვი.



საუშუკველი:

1. მანტიორი მელკონიანი, რომელიც გაგზავნილი იყო ტელეფონის № 9—46 შესაკეთებლად, ფორმალურად მივიდა დანიშნულების ადგილზე, დახედა ტელეფონის აპარატს და წავიდა. მივიდა ტელეფონის ქსელის სამმართველოში და განაცხადა, რომ „სამუშაო შესრულებულია“.
2. მელკონიანის მზგავსად „შეაკეთა“ ტიოეფონი № 7-51 პირველი უზნის მანტიორმა, ჩანტიკიანმა, რომლის აბონემენტებმა სამჯერ შეიტანეს ამ „შეკეთების“ შემდეგ განცხადება ტელეფონის უმოქმედობის შესახებ.

დაზიანებათა ბიუროს გამგე კულინოვმა „ზედმეტ დატვირთვით მიიჩნია შეკეთებულ ტელეფონების შემოწმება; როდესაც ტფილისის სატელეფონო ქსელის უფროსმა როსტომიანმა მას წინადადება მისცა შეემოწმებია ახლად შეკეთებულ ტელეფონების მუშაობა, კულინოვმა შემოწმების ნაცვლად ასეთი საქითხი დააყენა:

— ზედმეტი მუშაობის საფასურს ვინ გამომიწერს? (გაზ. „ტიფ. რაბ.“ მასალებიდან).

ამ საკატიო „და მსახურების“ შესაფერისად აღნიშვნის მიზნით მიენიჭოს ნიანგის ორდენით დაჯილდოვებულ ჯემოკლინოვს პირებს „საკატიო და უბადლო თვალთმაყვების სახელით.

შემოაღნიშნულ პირების მიერ ნიანგის ორდენების მიღების და შემოხსენებულ „საკატიო“ წოდების მინიჭების შესაფერი ზეიმით აღნიშვნის მიზნით, ნიანგი წინადადებას აძლევს ნიანგორებს, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს და საბჭოთა კავშირის ყველა პატიოსან მშრომელს გაუგზავნონ დაჯილდოვებულებს მისალოცი დებუებები და წერილები (თუ ასეთები გზაში არ „დაითესა“) შემდეგი მისამარ თით:

ტფილისი, კავშირგაბმულობის სამმართველო „დამკვერელ“ მანტიორებს მელკონიანს და ჩანტიკიანს.

დედანს ხელს აწერს ნიანგი. დედენტან სწორია: მეღუშა.

„დ ი ა ნ ო ს ი ბ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა“

ტფილისის დეპოში ყველას უყვარდა დიანოსი: ძველი მუშა, პარტიის წევრი, დამკვერელი. დაჯილდოვებული საკავშირო სიგელით და საუკეთესო მემანქანის სახელწოდებით. მას ამხანაგები დაეხმარებნ და გავზავნეს ლიბანის სანატორიუმში.

— ბიჭო, შაქრო, წამალი მიძაქვს, შემომეღვევა, დეპეშით გაცნობებ და გამომიგზავნე!—მითხრა გამოთხოვებისას.

გავიდა კარგა ხანი. არ იცით რა მოუვიდა დიანოსს სანატორიუმში. ასე წარმოიდგინეთ წერილიც არ მოუწერია. ერთმა ნაცნობმა კი თქვა: „ცულად არის, ხშირად წევსო“.

და ერთ მშვენიერ დღეს დეპოში მოვიდა დეპეშა:

„დიანოს პრიშლიტე კრმლტბ“..

დეპეშა ლიბანიდან იყო. ყველას ეწყინა დიანოსის სიკვდილი. საჩქაროდ კუბო შეუტყვეთეს. ვაგონის მისაღებად მთელი დელეგაცია გაუგზავნეს გზის უფროსს ამხ. როზენცვიგს. დაბოლოს, ყველაფერი მოეწყო. ვაგონი მიიღეს. კუბო გაატანეს ამხ. გოდერძოგს და თან დააბარეს: ჩამოსვენების დღე დეპეშით გვაცნობეო.

მიდის ლიბანის გზატკიცველზე გოდერძოვი და უკან მუშა მიყვება კუ-

ბოთი. მიდის მოწყენილი. კარგი ბიჭი იყო საწყალი დიანოს, რა უდროოდ მოკვდა. სანატორიუმის ჭიშკართან თვალები ცრემლით ავესო. ავად მყოფები დადიან ეზოში. დიანოსი კი საკაცეში წევს, ვინ იცის, იქნებ ამათაც სიკვდილი ელით, გაიფიქრა ჭირისუფალმა და სიბრალულით გადაავლო თვალი დამსვენებლებს და..

—მე ვარ დიანოსი, კაცო, რას მომამტერდი!..

— დიანოს..

— ხო, ჩამომიტანე?

გოდერძოვი სახტად დარჩა. დიანოსი ცოცხალი უნდა იყოს. მაგრამ რატომ მკითხა ჩამომიტანეო. თუ

რუსთაველის თეატრის იუბილე მეგობრული შარყები




ნახ. ღონის.

ნახ. ხაჭალიას.

ნახ. ღონის.



სბექტაკლის დროს.



სახალხო მსახიობი აპ. ხორაშა.

ათი წელი

ქართულ თეატრში დიდი ხანა მდიოდა „რღვევა“. მას ბევრი ჰყავდა „დუშმანი“. გარშემორტყმული ჰქონდა „სალტე“. გაისმოდა „პროტესტი“ და „განგაში“, მაგრამ მაშინდელი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა თეატრს, თითქოს იგი „ნაბიჭვარი“ იყო. ეს იყო საბოლოო ხელისუფლების დამყარებამდე. მაგრამ, აი, გადმოდინდა „ცხვრის წყარო“, გამოჩნდა „ლამარა“, რომელსაც უკან მოსდევდნ „ანზორ“ და „ყაჩაღები“. ვათავდა „მზის დაბნელება საქართველოში“. გამოჩნდა „თეონულლი“, გაიპარა „ამერიკელი ძია“. დაიწერა „დეზერტირკა“ და მის მაგიერ გაშენდა „ქართა ქალაქი“, ალარ ისმის „პროტესტი“. დაცხრა „დუშმანი“, შეწყდა „რღვევა“ და „განგაში“, გაწყდა „სალტე“, „მმაჩში“ გატარდა „ნაბიჭვარი“, რომელსაც მითხოვდა „ლამარა“.

ეს არის ათი წლის ლამაზი ისტორია.

სანდრო ახმეტელი—რეპეტიციის დროს.

ცოცხალია, კუბო რად უდა. თუ შევდარია, აქ როგორ დაის. საკვირველი ამბავია... ცოტა უკან დაიხია. დიანოსმა ესლა შეამჩნია მუშა ვუბოთი

- ეს კუბო ვისია... ?
- შენი დეპეშა მივიღეთ... და ამოიღო ჯიბიდან. დიანოსმა გადახედა.
- შეუბრუნებიათ. მე ასე დავწე-

რე: „ოკონჩილოს, პრიშლიტე. დიანოს“. წამალზე გწერი, გამომიგზავნე-თქო...

ერთხელ კიდევ გადახედა დეპეშას. გაეცინა. დამსვენებლებმა თავი მოიყარეს. სიცილი ხარხარად გადაიქცა. და ამ ხარხარში უცბად გარკვევით მოისმა ჩვეთინი. დიანოსი ტიროდა გულამოსკეკით, ისტერიულად.

მუშა მარტოდ იდგა განზე კუბოთი და მოთმინებით ელოდა. ბოლოს იკითხა:

- სად არის ის, ვისც კუბოში უნდა ჩავდეთ?
- ფოსტა-ტელეგრაფის აპარატში!
- სერიოზულად უბასუხა გოდერძიშვილმა და გაემგზავრა სადგურისაკენ.



1. ეთა ლიგის მფხიდოგია-
ნოგის ანგელოზი, რომელსაც
ერთა ლიგა უნევიდან მეშვიდე ცა-
ზე გამგზავრებას უპირებს. (ეს ანგე-
ლოზი ერთა ლიგას ბაძავს: არც ერ-
თი და არც მეორე არაფერს არ აკე-
თებს).

2. იაპონელ მილიტარისტების ან-
გელოზი — გენერალი არაპი;
იაპონელები ანგელოზ არაკს მანჯუ-
რიის დიქტატორად დანიშენას უპი-
რებენ.
(უმხედეთ მის სხხმს! — მარ-
თელს პერსპარდნილი ანგე-
ლოზია!)

3. იაპონელი მილიტარისტების
მეორე ანგელოზი ფუ-ი ანუ ნიანგუ-
რად, — „ფსუი“. (მას ანგელოზის
ფრთები არა აქვს და მისი ფიქრით,
არც ფრენას საჭიროებს, რადგან
იაპონელ იმპერიალისტების სიჭკბ-
ზე არის დაყრდნობილი).

კუმორი-სატირა ხალხურ კოეზიაში

ქართული

ხალხი თავის შემოქმედებაში ნათლად ასახავს თავის სოციალურ მდგომარეობას. თითქმის ყოველ მხარეში მხარეობს მოკვლეობა მას შემდეგ ხვდება თქმულება, რომელიც საოკუპაციურ უძლებს და თავისი შინაარსით თანამედროვე ცხოვრებასაც შეეფერება. ამის საილუსტრაციოდ მოგვიყავს რამდენიმე მაგალითი.

ეს ჩვენი მამასახლისი
მაღალია ზესავითა.
ბოქალის დიხარავს,
მაშინ წავა თხლეხავითა.

მამასახლისი, რომელიც გლეხობაში ბაზილიკანობდა, ბოქალის წინაში ცახვებდა. ამ თქმულებაში მკითხველს ცხოვრების შეტანით, მომჩვენდ პირთა გამოცვლით, ჩვენ მივიღებთ ტფილისის ზოგიერთი უპირის ზოგი მილიციის ასეთ დახასიათებას:

ეს ჩვენი მილიციელი
მაღალია ზესავითა.
ხულიგანს არამ დაინახავს,
მაშინ წავა თხლეხავითა.

და გააჩნდა ზოგიერთ მილიციელზე ზოგადმოჭრილი არ არის! ზოგი მილიციელი გმირია ტრამპლან გაჩირვებისთან და არ გამოეპარება მოქალაქის ტრიმფიდან განგრებამდე გაუმოხტომა. მაგრამ თქვენ ვერ ხახავთ გირიც ერთ მათგანს, მაგ. ფუნდელურის მახლობლად, სადაც ყოველ რომით არის ხულიგანთა გამოსვლა და ხშირად უბედურ შემთხვევებისა (აქ ის აღვიღო.

გადარიენ ხუცები,
ქალებს არ ზოგვენ სხვისასა;
ტაბლებით ვახუჭებულან,
საბილოს მაშინ ახვრისასა.

ეს რა თქმა უნდა—წარსულში, თორემ მათ ახლა სხვის ქალებთან ვი არა, თავისთვის ვერ მოუფლობათ. სათბილოს მაგიერ ვამხმარი ტარანიც ენატრებათ. მაგრამ ჯერჯერობით კიდევ არიან ისეთი ბარები, რომლებს დასახსიათებლად ეს თქმულებაც გამოდგებოდა მკითხველს შესწორებით, მაგ. ხუცების მაგიერ: მფლანგველი; უთორსი ვამგე; გადავარებოლი თავმჯდომარე და სხ.

აზნაურობა მიყვარდა,
გვერდზე დახურვა ქუდიასა;
სოფელში ვავლა-გამოვლა,
ყველგან ატენა ჩხუბისა.

ესეც წარსულში, თორემ ახლა კოლმეურნეები ასეთ პირს არ ვაპყენებენ სოფლად!

ბატონყმობა გადავარდა,
ახე რადი მეგონა!
მეფე ტყუილს თუ იტყოდა,
ახე რადი მეგონა.

მეფე ყოველთვის ტყუილს ამბობდა, მაგრამ გლეხობას მაინც ეგონა, რომ განთავისუფლებასთან ერთად მირწაც მიეცემოდა, მაგრამ მოტყუებულნი დარჩნა.

საწყალსა ვაცსა ვან მისცემს
აღები-ღამეს ღვინოსა.
მჭადი ჭამოს და წყალი სვას,
დაწვეს და დაიძინოსა.

ღღეს კი კოლმეურნის ბედი და მარანი საგნებ პურიცა და ღვინით და სულ ახლო ხანში ყოველი კოლმეურნი შეძლებული გახდება.

სადაც არის ცხელი ღომი,
ოქვენ იქ ნახეთ ჩემი თმი.
სადაც ხმალი შიშველია,
მე იქ ვერას გიშველია.

აღბათ წინადაც უყვებ მემარჯვენე-ოპორტუნისტები და ეს თქმულება თავის თავზე თქვენს. მადლობა უნდა გადაუხადონ მათ ახლანდელმა ჩვენმა ოპორტუნისტებმა, რომლებსაც აღარ სჭირიათ თავის თავზე თქმულების შეთხზვა, რადგან უკვე შეახსუელია.

— ძაღლო, ვისთვის ყუფხარო?
— ვის სანაგვეზეც ვწევარო!

ეს კი შედგამოჭრილია სოციალურ-ფაშისტებზე, რომლებიც კაპიტალის სანაგვეზე წვანან და მისი ნასუფრათით იკვებებიან.

მიუხედავად ასეთი ერთგული სამსახურისა, ხშირად მათ კიდევ მოსურიათ, როგორც ეს მოხდა გერმანასა და ავსტრიაში (ფაშისტებმა დასცხეს რა გარეკის).

დათქმა თქვა: ჩემი ტარები
რახაკ; ვერ მოვატანეო.
უშნოდ და უმად შევჭამე,
გემო ვერ ჩავატანეო.

დათგის მაგიერ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმეთ იმპერიალიზმი, მაგ. ინგლისის იმპერიალიზმი და ამაში არც შევცდებით.

მუხას ცული შემოვკარი
მე მეგონა წიფელაო;
გოგო ერთი მაკოცნიე,
ჩემო ღოცა წითელაო.

ამ თქმულების ასე დატოვებაც შეიძლება (და საჭიროც არის), მაგრამ შესწორებითაც არ დაშავდება საქმე, პირიქით, საჭიროც არის ასეთი შესწორების შეტანა:

მუხას ცული შემოვკარი
მე მეგონა წიფელაო;
კომკავშირში შენ რა გინდა
გოგო ტუჩებ წითელაო?

ღიას, შორს კომკავშირის რიგებში და ის კომკავშირელი ქალები, რომლებიც აუჩიებს სტუდენტებით იმ ხოხნანს, რადგან:

ღნერთო, ნუ ქვერი ვაქცასა
ცოლსა ყბელსა და მიინარხა,
ის შეშლის, ის დაბერებს
და მისცემს წყალსა მდინარსა,

აი ასეთ სოიბნიკა ქალებს პირობები უნდა უთხრა:

ამოდუდდი მარგალიტო,
ნავუბარში ჩაღვე წყალო;
არც ისეთი ღამაში ხარ
როგორც იბრანგები, ქალო!

თუმცა რომელი საქმიანი ქალი ამ ყოველს თავის გაბეჭვულ სილამაზით!

წყალზე ქალი მიდიოდა,
თან გავაიანი-ღვლია.
აქვსო ოკა-კუტალი
შიგ გაუყარა ჩვალია.
მოდის და მოდუღუნებდა!
ღმერთო მომიკალ ქმარია.
ცხებს საგებად გავზავნონ,
ზედ და მოდეს ქვანია.
შახარბელი მომსვლოდეს:
— ქალო მოვიკვდა ქმარია.
სამახარობლო ვავილო
სამასი სული ცხვარია.

რა თქმა უნდა საჩუქარს (სამაშ) ცხვარს) გადაქარებით პირდებო (სად ილოობა ამდენი ცხვარი), მაგრამ ქმარს თუ კი ატყუილებდნ მთელ თავის ცხოვრებაში, რა აქნება, რომ მახარობილიც მოატყუო ილოს!

ეს ყველაფერი ქალების შესახებ, მაგრამ მამაკაცებსაც არა ნაკლებ ხედება ხალხის მათრახი:

ასეთია მის გული
ვიც მორევა მავი ზღვისა:
მას რა არავი ცოლი ყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა.

ასეთი გაწუწუებული კაცი ოჯახში ცოლს მედიოურად ეპყრობა და დიდ მოთხოვნილებებს უყენებს! მაგ. თუ ცოლმა ვერ გაუკეთა კარგი სადილი, იგი აყვირდება. მაგრამ ცოლმა ასე უნდა უბასუბოს:

აზნაური ჭადს არა ჭამს,
თუ მოვიდა ჭირსაც მომჭამს.
ან კდევ და ასე:
თუ კი გვია ზაქარია,
ციფა ჭადც შაქარია.



ამიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთობა წინად და

ერთი მართალი

თავის უკანასკნელ ბროშო
რაში ოტტო ბაუერი ფიცით
ამტყიცებს, რომ ის ავსტრიელ
ბურჟუას ყოველთვის იცავდა
რევოლუციისაგან.

მეწვევიკია მეზღაპრე
ეს ბაუერი ოტია,
მაგრამ რაც ზევით წარმოსთქვა
ეს კი ზღაპარი როდია.
კაპიტალიზმის წისქვილზე
იყო დამსხმელი წყალისა,
მაგრამ ამ საქმიანობამ
გული ვერ გაუხალისა:

არ დააფასა ამაგი
ბურჟუაზიამ ვენისა
ოტტოსი, — სოციალისტის
სახელის შემარცხვენისა.
ნაცვლად პორთფელის მიძღვნისა.
„გააიმასქნეს“ საწყალი:
კინწი ამოჰკრეს ისეთი,
რომ დაასველა საცვალი.



ახლა — საბჭოთა ხელისუფლების დროს

შეკითხვა

(მუხურა, ჭიათურის რაიონი).


საქეიმო პუნქტის გამგედ
აქ ბრძანდება ინჟინრული,
ხარაგოულს ხშირად დადის
რომ იქ ჭამოს „კუინტი“ ყველი

საჭიროდ არ მიაჩნია
ნებართვა და შევებულება,
როცა უნდა მაშინ წავა,
იქ ცოლშვილი ეგულება.

ყავარჯენსა დაიბიჯებს,
გამოკეტაეს პუნქტის კარებს,

მაგრამ როდის დაბრუნდება
ამას არც კი დაიბარებს!
დღე გაივლის ხშირად ათი
არსადა ჩანს ემელიან,
ნეტავ საქეიმო პუნქტის
აქ პატრონი რომელია?

მუხურაძეული.



მგოსანი არის კოჭია,
ტანწერწერს შვენი ფაფახი,
ბევრი დაბელნა ქალაღლი
მრავალი ასი თაბანი,
მიიჯირ-მიიჯირითა
ქართული პროზის ყაბახი,
მაგრამ არაინ შეაქო—
ინილეთ საქმე საბახი,—
და რომ ამავი დარდითა
არ დაჰყენს, როგორც ზამბახი
ადგა და თვითონ დაიწყო
თავის ქება და ტრამბახი:



—„უბრალო ათკია გეგონოო.
ვარ ოქროსძირა ქოთანი,—
ჩემი ქოთნების ტოლები,
მეფელებიან ცოტანი!—
კალამიცა მაქვს ხომ ხედავთ—
საპროზო-სალექსოთანი,
მე უკან ჩამოვიტოვე
ვაჟა, ილია, შოთანი,
კლასიკოსობა მომინდა
როგორც კიტრი და მოთალი,
არ გჯერათ, ჩემი ნიკები
თქვენს წინ იმიტომ მოვთვალე!

იჩქარეთ, ყველამ გაიგოთ
სანამ არ არის გვიანი
ჩემი მწერლობის ამბავი
მსხვილმან და წვრილმანიანი
ადგომ-დაწოლა ლოგინში
ან ბოლთა წინ-უკნიანი,—
დაბანვა, ვალამაზება,
გავლა-გამოვლა კეკიანი,
ქაშა-სმა, წაშოგორება,
სლოკინი—ვალსკოკიანი,

თუთუნის წვევა, ასანთის
გაჰგრა კვლავ ლაჩათიანი,
და თანაჟ წერის პროცესი
დიდ ასორ-ტიმენ-ტიანი:

მწერ და ვხევა კვლავ ვწყო...
ავღებები, ისევ დაველები,—
კაი გრესლო რომ მიღვია,
მიგ ნარვიზივით ვთავსლები,—
მაინც ძნელია ოხერი.
ყოველ სტრიქონზე ვთარსლები,—
დღე და-ღამ ეგბრძვი სიტყვასა,
კალმებს ვიტყვ, ბრაზით ვაგვსლები.—



ბოლოს რაღაცა გამოძღის
და მიტომ აღარ ვნავესლები.

ბევრსა გონია სახლში მქაეს
მიმინოების გუნდები;
თითქოს გალიას მოსხედან
და მათთან ვარჯიშს უნდები
როცა ვიღლები, ნაოფლი,
ავღებები ახალ ზმანებით.
მაშინვე მწკრივად მიდგანან
სატრფლანი—ლაბაზმინები,
ზოგს მანიკური ამშიენებს,
ზოგს—მიუღია იანიბი,—
ჩემს საილგროსოდ მზადა აქვთ
სიტყვები-ნა...

მე გარ ბურჯი და ბერკერი
ქართული პოეზიისა,—
პროზას ხომ რაღა თქმა უნდა,
მე მივეც ელვა მზი(ი)სა,—

სტილიც—ცხადია მე შეგქმენ,
ვინ იკამათებს, ამაზე?—
გამოთქმა შოთას სიტყვისა
მხოლოდ მე ვაგაღამაზე,



მიტომ დავდივარ პროსპექტს,
ცოცხალ კლასიკის პოზიითა.—
„ვისრამიანის“ სიმალეს
რაღვანაც მიეწვდი პროზითა.
მოკლედ რა არის სადაგო.—
საკითხს მარტივად ვეხები.
ქართულ კაზმული მწკრილის
ხომ გარ თავი და ფეხისი,
და... რატომ არ გამოიმერებენ
მუშები, ანუ გლეხები?...

— კარგი საქმეა ეს საქმე—
და მეც თქმა მინდა აქ მისა-
უთუოდ ქების ღირსია
ღვაწლი „სიტყვა და საქმისა“
საბაბი მომცა ფარსადანს
„შემემყო“ გამსახურდიას,
მეჭო მის ბაქი-ბუქობა
და მისი ფართი-ფურთია!
ფარსადანი.

ზავსულია

გაზაფხული გაიპარა,
დაცხა, უკვე ზაფხულია.
აბრეშუმში ჩაჩარლსტონდენ
მაკრინე და ხახულია!
ჯერ იენისი დადვა მხოლოდ,
იენისია, მზეა, ცხელა,
ხალხი სტოვებს „შემწვარ“
ტფილისს,
ავარაცხე მიღის ყველა.

„ტფილსოფმარეწვში“ რიგში დგო-
მიო

მოჩვენებას დავემგავსე.
ლული შემხვდა, მაგრამ ჭიქას
ვერ ველირსე მაინც სავსეს...
ტუფლებს ვეძებ თეთრ ტილოსი,
უშედევოდ ვტკეპნი ბაზარს,
„ტფ-ეს-პე-ოს“ გამყიდველმა
კალოშები მომთავაზა,
— რას დამცინით, ამ სიტყვნი
რა ოხრობად მინდა ესა?!

— ამ თვეში თუ არ დავკირდა
ქვეს თვის შემდეგ ივარგებსა!
გაზაფხული გაიპარა,
სიცხით პირი დავაფრინე,
თუ ბიჭი ხარ, უტორგსინოთ
თეთრი ტუფლი გააჩინე.
ბაბულიაც დაეძებდა
თეთრ საკაბეს... „იმე, ბერა“
დახურულში შეიარა,
ხელში შერჩა შავი ქეჩა.
მარაშუი.

— რა არის აბანო?

— აბანო ტფილისში ეწოდება ისეთ წყლიან დაწისებულეებს, სადაც ტანის დაბანის მიზნით ორი-სამი დღის შეგებულება უნდა იქნას.

— რატომ?

— იმიტომ, რომ აბანტრესტის მუშაკები ვერ აუდიან მობანავეთა გაწოდებლ აბანოებრივ მოთხოვნებს.

— რა განსხვავებაა ოცნებასა და სინამდვილის შორის?

— ოცნება ტანის დაბანა, ხოლო სინამდვილე — ერთი დღის ლოდინი, შემდეგ კვარტლიანი ხეწარი, რომელთაც იქ შეგამშრალებინ და ქუქიანს გამოგიშვებინ.

— მექისე?

— მექისე სუბიექტია, ხოლო მობანავე ტყაყის გასაძირობი ობიექტია. სხვათადაც: დაწესებულს გარდა, ხალტურის ამღები. მაშასადამე, მექისე არის ხალტურშიკი, რომელიც, მართალია, ტყაყს იტოვებს, მაგრამ ქუქიანს სახლში გატანს...

— მოთხარით, რომელი ახალი აბანო იცით ისეთი, რომლის შენება მართალია დააწყო, მაგრამ ბოლო არა აქვს?

— დაუსრულებელი აბანო ეწოდება ისეთ აბანოს, რომელიც ტრამპის მუშებისათვის შენდება (ტრამპის პარათან).

— ვისზე დაიწერა:

„შენ, რომ ვიგოს ეძახოდე, რას გავხარო...“

ის პეტრიძე იმგერს ხელსა?

— ეს დაიწერა აბანოს მშენებელ ამხ. ზურაბოვიზე, რომელიც ტრამპის სამსახლო განყოფილების გამგებ იძახის: მას რომ მასალა მოეცა, დედა ხანია აბანოს დაამთავრობდით.

— რას ნიშნავს ტკბილი მოსაუბრე?

— ტკბილი მოსაუბრე ნიშნავს ისეთ ამხ მირველოვს, რომელიც მეორე წელია გაიძახის. „აბანო. ჩემი თავი შინ გინაცვალავს... აბანოს ამ დღეებში დავამთავრებ“... მაგრამ არ ამთავრებს.

— ვის ეწოდება გაბგე?

— გაბგე ეწოდება ისეთ სამსახლო განყოფილების ხელმძღვანელ ამხ. მახარაძეს, რომელიც ორი წელია ამხ რაგებს აბანოს მშენებლობას, მაგრამ მაინც ვერ მოამარაგა.

— რა არის სტრატონფერა?

— სტრატონფერა წარმოადგენს უსახლვრო სიგრივის, სადაც დასკუთავინ ტრამპეალოთა მომავალ აბანო-

სთვის საჭირო მოწყობილობანი: ონკანები, ბუფეტები და სხვა სუბიექტ-როვანი საგნები.

— ამიხსენით ცნება ინერტული?

— ინერტული არის ისეთი ორი ბაკი, რომლებიც ძირგაბერტილი აყო და შესაკეთებელი, მაგრამ მაინც აბანოსთან მიიტანეს და დაყარეს, სადაც ისინი სწორედ ინერტულ მდგომარეობაში იყვნენ... რამოდენიმე კვირით...

— რა არის დინამიკა?

— დინამიკა ისეთი უთავბოლობა, როცა მსენებელი ორი ბაკი თავიდან ვე არ მიიტანეს შესაკეთებლად მექანიკურ სამუშაოში, როცა იკოდეს, რომ ბოლოს მაინც ასე მოხდებოდა და ხარჯებს და ენერჯიას გამოიწვივდა.

— რატომ იტყვიან: „ვერ მოგართ-ვი დანიერული ბადრიჯანი“?

— ვე არ ვიცი, მაგრამ ეწოდება და მთავარ ბუბლოტერ ამხ. დასას, რომელიც ჰამ იძლევა თანხებს აბანოსთვის და ჰამ არც იძლევა, მიუხედავად დირექტორის გარკვეული გასკარგულებასა...

— მდაა! მაშასადამე, რა ყოფილ პერპეტუუმ მობილე?

— პერპეტუუმ მობილე ნიშნავს დაუსრულებელ ლაპარაკს ტრამპეალოთა აბანოს შესახებ, ხოლო საქმის ბოლომდე არ მიყვანას.

— ეს იგი როგორ აფხსნათ ენუქის ანდერძი?

— ენუქის ანდერძია კოლხელმეჭრულებას ისეთი მუხლი აბანოს აგების შესახებ, რომელიც ყოველი შემოწმების დროს ახლად შეაქვს გაერთ. ადკომის თავმჯდომარეს ამხ. ბაკი, აძებს და მაინც არ სრულებია. **აღლარ-აღლარსან**

ნახ. ქოქიაზვილის.



პოეტრი უკითხავს მკითხვეს: თავის ღმრსმას ლექსის რითმებით ავაფეთქე ძველი ქვეყანა. მის ნაზრევებზე ჩვენ დავთხებულ ღომი და პური. კოლექტივების გაითხოვნა დროულად ყანა. და კლავს მტერს ჩვენი ინდუსტრიის მტრობა და შური. ჩემო ლექსებო, ვინ გაჯობებთ მტერთან ბრძოლაში. მიწის წამქცევი არქიმედის თქვენ ხართ ბერკეტი ორმოცი წლის ვარ, არ ვყოფილვარ, მე ჯერ სწოლადში, მე ლექსით ვიბრძვი თუნდაც მცემონ თავზედაც კეტი.

— დაპროწილე, მე შავის პრუ-
ენები კი რა ვთქვა, „სიმონიკა ვო-
ცაძე“ დაპროწილე, თვარა სულ
უტილად ვაქცევ!—ხრინწიანი ხმით
ბრძანებდა ხონის რაიონის, სოფ. გო-
ჩა-ჯიხაიშის კოლხ. გამგე იონა ჩოშა-
ხიძე და ვაგულსებული მეთარნეც
„სიმონიკა ვოცაძის“ ხმაზე „ახრჩობ-
და“ დანჯღრეულ არღანს:
„ვენაცვალე სახვავრობას,
თვეში მაძლევს თორმეტ თუმანს...
ივანიკა ჩომახიძე-ე...“

— მეიცა ბატონიშვილო, რა
დროს მავია, მოი ერთ კარტები
წავითამაშოთ, თავი შევიქციოთ! —
ჩაელაპარაკა იონას მისი სუფრის
მოზიარე არსენ ჩომახიძე.

— კარტებიო?! მოგიკვდეს ჩემი
თავი, თუ იონამ მავაზე გაწყენიოს.
ჩემი მხრიდან სახვავრობის 2000
კრამიტი დამიდვია, შენ კი ასი თუ-

მანი უნდა ჩამოხვიდე ამის ანგარიშ-
ში. ეილე კარტი.

— მეიცა ბატონიშვილო, მომეცა
ერთი კარტიც.

— თვრამეტი!

— ოცი!

— რაია ბიჭო მაი? მეიგე სახვაქ.
რობის ნაწაგ-ნადაგი კრამიტი?!

— კი, ბატონიშვილო, მევიგე!

— მაი არაფერი, იონა ცოცხალი
იყოს, თვარა მავისთანა კრამიტებს
დღეში ათასს იშოვის კილო...

— ბიჭო, იონა, შენ რომ გასასა-
ლებლად კოოპერატივის საქონელი
გამატანე, ვერ გაგისაღე, მარა ნუ
გეშინია, ხვალე ბაზრობაა და ყვე-
ლას გადაგხურდავებ.—თავს წაად-
ვა მოქეიფე იონას მისი ცოლის ძმა
ლასია ჩხიკვაძე.

— მაი არაფერია, აჰა, ხუხე ეს
კიქა და წისქვილში გვიქეცი, ერთი

ორიოდ ფუთი მქეცი... გააქუნე ფულე
სახლისაკენ... მეტი რა შეგვჩრება ამ
ცოდვილ ქვეყანაზე?!

— ბიჭო იონა, წყალი გვჭირდე-
ბა ბიძია სარწყავად, ცოტა ხანს ქე
უნდა შეაჩერო მაი შენი წისქვილი
თვარა ყანები ქლა ვადაგვიხმა.—მა
მართა დანიელ ჩომახიძე.

— ახალი მთავრეა, ბიძიებო, რად
გინდათ წყალი. ამ ორ დღეში ისეთი
თავსხმა წამოვა, რომ შინიდან კარ-
ში ვერ გამოხვალთ.—სიტყვა მოუჭ-
რა იონამ და განაგრძო:

„ვენაცვალე სახვავრობას,
თვეში მაძლევს თორმეტ თუმანს...
ივანიკა ჩო-მა-ხი-ძე...“

ახლაც ასე მღერის იონა ჩომახიძე,
მაგრამ ხონის რაიონული სახვავრო
ორგანიზაცია რატომღაც ყურებს
არ იბერტყაის. **ჩონღარა.**

ზოგიერთ სოფელში იცემა კედლის გაზეთები, რომლებიც გლეხობისათვის
გაუგებარი ენით იწერება.

რუსიონალური
ელეიროსია

ჩვენი კარიოდი მოით-
ხოვს კორეაურნაპისაგან.
ქაბივიჯასიას რუსიონა-
ლიჯასიას, პაეიორასიას,
უბიორიჯასიას, სპასივი-
კასიას ზა სრურ რაორ-
ბანიჯასიას.



გლმხი:—რა და ვილაც პერიოდი ჩაძიო?

სოფლად მოგშაგამ: — რა, მავალიოდ?

გლმხი:—რა და ვილაც პერიოდი ჩამოსულა ქალაქიდან და ყელში დანას გვიყ-
რის: ისეთი გადახანადები შემოუწერია, რომ ეგ საგნები ჯერ თვალისათვ არ მინა-
ხავს და სახელმწიფოს როგორ ჩავაბარო?

ქარკოპრული
(სოფ. ზაზვიში, ვანის რაიონი)

— კაცო, რუბენის ამბავი გაიგე?

— რომელი რუბენის?

— ჩვენი ოთხწლედის გამგის —
რუბენ მინაშვილის შისახებ რომ
ხმები გაგრ(ველებული, მართალია

— რა ხმობია, არაფერი გიცი!

— კაცო ჭურში ხომ არ გიძნავს!
არ გაგიგია, რომ რუბენი, ჩვეულებ-
რივად მთერალი გზაში დახვედრია
ახლოგაზრდა ქალიშვილს და შეურა-
ცყოფა მიუყენებია! ქალს გაქცივით
უმველია თავისათვის.

— ეს არ იქნება მართალი, რუბე-
ნი ღვინოს მიტომ სეგამს, რომ სას-
წავლებელში ილაზღანდაროს და
გაკვეთილები ვაა(ვდინოს, თვარა იე
კაი ბიჭია და სიმღერაც კარგი იცის.

— ხო, სიმღერა კი იცის კარგი,
მავაში მართალი ხარ!

ჯამო-ჯალადიღი

— ვინ არის ჩვენს აოფელში ყვე-
ლაზე უკეთესად კარტის მოთამაში?

— კოლია ცხვიტარია!

— არ გკოდნია, ყველაზე კარგი
მოთამაში კირილე გარუჩავა და ბო-
შია თოფურიაა. ისინი როცა ჩაჯდუ-
ბიან სათამაშოდ, ისე არ ადგებიან,
რომ სხვები არ გაწმინდონ!

— კოოპერატივის ნოქარი ამბერ-
კი ინჯაბაშილი სულ უნიჭოა მარა
მაინც თამაშობს!

— კი მარა, ეს შალვა შეროხიაც
რომ ვასლოგლებულა და მათ ბრა-
გდაში ჩაწერილა! კარგი მოჩხუბარა
კია მავი ოჯახ ჩორი! როცა დაითუ-
რება მაინც, იერაგინ უბიდაის ს-

ყვის შებრუნებას!

— ხო, მართალია, მართალი!

ქმარა


საბჭოთა მხაჯვრები



ქართული

მხატვრული ტიპაჟი.

კავკასიის მხაჯვრების ფონდის მიერ გამოცემული



სიანგოური დუაითი

ნიანგოური ვახარებული ვადმოს, ავტოდან და მადლობა ვადუხხად. შოფერს ომარცხით რომ მიიყვანა მეზავრობა!

— მართლაც ეკუთვნის მადლობა, ეს მეოთხე პირვლი შემთხვევაა, რომ ასე შშვიდობიანად დამთავრდა ჩვენი მეზავრობა!

*

მომივებული ვიყავი. სასადილო-საკენ ვავებართე.

სასადილოში ჩვეულებრივი სურათი დამხვდა: დარბაზს, საოჯახო თორით-დე საეჭვო ტარანი იღო, შემთხვევითა ბუზები, ხოლო ირვგლივ დამშეული ძაღლების გროვა იყო დაბანაკებული. სასადილოში დიდხანს აღარ დავჩინილვარ, რადგან საჭმელი „გათავებულიყო“, გამვემ დიდი ბოდიშით გამომისტუმრა:

— აშხანავო, ეს პირველი შემთხვევაა, რომ 2 საათზე საჭმელი გამოგვლეოდეს; ესეც არ არის ჩვენი ბრალო რომ ცოტა აყროლებული თევზი გვაქვს დარჩენილი, თქვენ, როგორც ნასწაოლი კაცი ტფილისიდან, ცხადია არ მიირთმევთ ასეთ რამეს. არ ვიცოდით, თუ მობრძანდებოდით, თორემ კარგს სადილს მოვამზადებდით. ხვალ გვესტუმრეთ და თქვენთვის ყველაფერს ვიშოვნით, ოღონდ „ნიანგში“ არ ვაგვეწერით!

უსადილოთ დარჩენილმა დასვენება ვანვიზარახე და სასტუმროს მივაკითხე, იქ ადგილი არ დამხვდა თავისუფალი, მითხრეს—გამგე თავის ნაცნობებს უნახავს ადგილებს და თქვენ, როგორც უცნობს არ მოგცემს თავშესაფარსო. როცა სასტუმროდან გამოვედი მომესმა ხმები:

— ეს საქონლის ექიმია, თუ ვილაც ოხერი პირდაპირ საცემია ჩემი ხელიდან.

— შენ ჩემი იკითხე, ფულით ვეღარ გავადღე, ერთი საწყალი ძროხა გამიხდა ავად და თავად რომ ღირს იმაზე მეტი ვადამახდევია მის საექიმოდ, მაგ უსამართლომ!

ლაპარაკში აღარ ჩავერიე, შემეშინდა, ვაი თუ მე ვეგონო ბეითალი და არ მცემონ მეთქი და ვავეშურე იქითკენ, საიდანაც მომისმოდა ჩოჩქოლი და დაკა-დაკა. ვიფიქრე — აქ უსათუოდ ვიშოვი ნიანგის საკბილო რამეს მეთქი, მაგრამ შევცდი, რადგან ვნახე ჩვეულებრივი სურათი. — პურის განმანაწილებელ წერტთან, რიგში ჩამდგარი ხალხი ვარჯიშობდა და მეპურეს წონაში დაკლებიანთვის—დედს უკურთხებდა.

ნიანგელი.

ჭაგნელ ბზიკს!

(ნესტორ ვენგელია)

ესი სატირულ-ჰიუმორისტულ ფრონტზე ბრძოლის ოცი წლის თავზე.



ამჟამად არის ჩვეი საგაბი მოკლედ ვთქვა შენი ბიოგრაფია. სოფელი შენი არის ჭაგანი (უნდა ვიცოდეთ გეოგრაფია) და მიტომ გქვია „ჭაგნელი ბზიკი“.

ოცი წლის წინად დაიწყო წერა, ვყავდა შენ მაშინ სულ სხვა გმირები: მამასახლისი, მღვდელი გრძელწვერა, მეგახშე, ჩარჩი, ყალბი გირებით და განთქმულები ოინი-ხრიკით.

არც ექიმბაში გამოგჩინია, „მოსე შწერალი“, „სოფლის გმირები“.

ხურგზე სულ ბღღვირი ავიდენია, რომ დადიოდენ სოფლად გზირები, გაბერილები ვით რუმბი, ტიკი.

ახლა სხვა დროა. ქრის სულ სხვა ქარი, მალა ფრიალებს შრომის ალაში. შენ ხელს გიჭირავს თოფად ფანქარი, ტყვიად—ფოლადის ბასრი კალამი. ახალ ცხოვრების ბლომად გყავს მტერი, მათ წინააღმდეგ გრძელდება ბრძოლა.

მივიხარია და მოვიმღერეთ, არ ვიცით ომში შიში და ძროხა. კალამი გვქონდეს მომარჯვებული, გვიყვარდეს, გვწამდეს ბრძოლაში იგი...

და იყოს მუდამ გამარჯვებული ჩვენი ნესტორა „ჭაგნელი ბზიკი“.

ნიანგი.

ახალგაზრდა მოხუცი

(სურათი მწერალთა სასწრაფო)

— რა ძნელი ყოფილა მწერლობა რომ ავადმყოფობად გადაგეჩივა. აღარც პური მახსოვს. აღარც წყალი. არც ჩაქმა, არც დახურვა. სულ ამ მითხრობების და პიესების წერაზე ვარ ვადაყოლილი!.. უკაცრავად მაგრამ აქ პურის წიგნაკს არ მომცემენ? — ვკითხებდა 70 წლის ლენაქ ბალ დაღიანი დედაბერი ახალგაზრდა პოეტს—ჭიპვარეზიოადეს.

— შწერლობა იმდენად ძნელი არ არის, რამდენადც პოეტობა, მე პირდაპირ სიკვდილს მადღევს ლექსის წერის დროს. აბა მომისმინე რა პათოსით დაწერილი ლექსი მაქის! — — რა კარგი ხართ სვანეთის კლდის ქანებო, ჭიუხებში ზარზარი და ხმაურია, რატო ძირს არ ჩამოხვალთ, თქვენ ჩემანაღებო.

აჭარაში სუპი ექვსი შაურია.

— მწვენიერია, მწგინიერი! — უქვსი მოხუცი. — შენ ეგ რად ვინდა, მე, აი ეს პიესა 12 წლისა რომ გიყავი მაშინ დავწერე, ძალიან კარგი არ არის, მაგრამ მექსპირის „ოტელოს“ მაინც არ ჩამოუვარდებდა, აბა ყური მიგდე, წავგიკითხავ, — განავრძობს ოთხმოცი წლის ახალგაზრდა დრამატურგი, — თთხი „მარაბდელის“ ოღენა ხელნაწირს „მოსე“ ოთხწლომ!

„საოციკასს“ „საწყეოალი“ დრამა შედრ მოქმედებად, თქვს მეტი სურათი: — კომედიის, დანარჩენები ტრალედია, ომიკათი პიესაა, მიეჭეს მოქმედებაში ყველანი იხოცებია. აბა ყური მიგდე, გკითხულობ: სკენა წარმოადგენს პიტლერს, ხელში უჭირავს მაწონის ქილა, ყავას მიირთმევს და დოლოს უკრავს. პარიკმახირები წვირის პარსაიენ...

— რატომ მატყუებ აბ. დრამა-ტურგო, თორმეტი წლისამ რა იკოდი, რომ ახლა პიტლერი იქნებოდა!


— რატომ არა? მაშინ პატარა იყო პიტლერი; როგორ არ ვიცოდი!

— აბა, ახლა მეც მომისმინეთ, ასეთი თანამედროვე ლექსი არავის გექნებათ! — ამბობს ჭიპო ჩიპიკილი და ლექსს კითხულობს: — „ხელში აიწიკავი რაჩეტორს, დირიკაბლოს,

მუხა მოვიდა, მუხოზე დაიხვიდა... პოლიტიკაში რომ ვიხრის იხამს — სეანოთის გზაზე დახვებს გავისკრით“

ნახევარი საათის შემდეგ ათაიებს საჩლდახელი პოიმის და შიში... სურათი გრძელდება თავისუფლები მოედანზე და და სანამ არ გათავდება

იანო.



— მამილო, მიყიდე ეს ბაიჩე ბი.
— არა, შვილო, ეს „ბაჩაჩები“ ძალიან, ძალიან იკბინება!

ქ რ ვ ა

ხატავარისათვის...

ხატავარისათვის. ხატავარის აგრო-ტექნიკუმის მოწაფეთა პროფკავშირის ბიურო-კოლექტივი მწუხარებით აცხადებს ღარიბი მოწაფეების ულუ და 2 ფუთა პურის ფაქილის უგზო-უალოდ დაკარგვას, რომელიც ხუნებულ ორგანიზაციის თანხმობით რის ბედიაშვილისა და მდივნის — კავილაძის დაოჯახებულ მისულა მათ ოჯახებში, რის შემდეგ არაიან იცის რა ბიდი ეწია მათ...

კი?

„სასწაული“

ასკანა. სამი საათის განმავლობაში ძახილის შემდეგ მოხდა ასკანიდან ოზურგეთის სატელეფონო სადგურთან კავშირის დაჭრა, რაც სასწაულოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ასეთი კავშირი არა თუ სამი საათის დაკარგვით, არამოი შეუძლებელი ხდება მთელი დღის ტელეფონზე ღრიალითაც კი. ასკანის სახ. საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ოზურგეთის სატელეფონო სადგურის თანამშრომელთა დაჯილდოება.

იქიდანვე. ასკანის თემის კოლმეურნეობის ხარკში კოლმ. თანხმდობარეს ხ. ჩავდევშიდს მიმართეს თბოენით, რათა ლოზუნგი: „გადავაქციოთ კოლმეურნეობის შეძლებულუბად“ მათზედაც გავრცელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს აცხადებენ მუშაობაზე, რადგან დამშვიდვას გამო მეტად დასუსტებული არიან. მათ სპასუხით ევტრები და პანტილოიმონმა უკვე გალესეს დანები.

რო—კა

„კულტურაგა“

ს. ახუთი, (ჩხოროწყუს რაიონი) ვინაიდან ახუთის სამკითხველოსათვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერა გადადებულია გამოუჩვეველ დროისათვის—მისი შერობა—შუამდგომლობის თანახმად გადაეცა ადგილობრივ პოლიტ. ათწილდის დირექტორს ბ. ჯგჯილაძეს თხების დასამწყვდევად. ჯგჯილაძეს თხები დიდ მძღობას უძღვნებან სოფ. საბჭოს თავმჯდომარეს ასეთი პარტიისკომისათვის.

კავალარისტი.

იაშა (აქვე). ტფილისის სატელეფონო ქსელის მუშაობის შესახებ იწერებით:

„ზა სიარულმა დალია, სიბი ქვა წყალთა ჩქერამა“, მე დაბუნჯებულ ყურმილთან დგომამ და ხელში ჰერამა“. ხელში ტელეფონის ყურმილის და ჰერა არც ისე ძნელია, თქვენ რომ გეჩვენებთ, მაგრამ რაც შეეხება იმ ყურმილიდან ხმის დაქერას კი... ეს ისეთივე რთული საქმეა, როგორც ჰაუპტმანის „ფურჯი ფრინველის“ ხელში ჩაგდება. სატელეფონო ქსელის „მორჯულება“ ჩვენის აზრით მაშინ მოხდება, როცა ზოგიერთი მისი უბასუხისმგებლო „უბასუხისმგებელი“ მუშაკები „დასაჯდომ ადგილს“ მონახავენ*).

კოჭის (აქვე) ორჯონიკიძის რაიონის ერთ-ერთი ქუჩის შესახებ ასეთ „იდილიის“ გავრცობით:

მე შეშინია
ღედა ქალაქის
პარალელური ქუჩის გავლა.
ფეხის მოტეხას
თუ გადაურჩი,
მტვერს დააყენებს,
ვით ქარში თავლა.

შემდეგ კი ასეთ დასკვნას აკეთებთ:

სოციალიზმი
როდესაც მოვა,
ყოველივერი იქნება კარგად,
ახლა ჩანგრეულ ქვაფენილზე კი,
ისე ვიმტვრევი ვით წყალში ფარგა.

წყალში ფარგები არ იმტვრევიან, მაგრამ რაც შეეხება თქვენს მუხას, ის კი „პარალელური ქუჩის“ ქვაფენილზე მართლაც სერიოზულად დამტვრეულა.

ჩვენ ვაყენებთ საკითხს: თუ თქვენი მუხა თბილისის ქუჩებზე დადის და იმტვრევა, ქალაქის საბჭოს კვეთილმოწყობილების განყოფილების მუშა რაღას აკეთებს?

კოსტას. (ხაშური). ჩვენი რედაქციის მემართ იწერებით.

ქვეყანაზე ზინა არის ჩემი ერთი მიზანი, ზინა ჩემთან დავიტოვებ ლექსებს კი თქვენ გიგზავნი.

არ ყოფილხართ სანდო მოქალაქე: დღეს ლექსი „გასწირეთ“ — ხვალ კი ალბად საწყალ ზინასაც გასწირავთ. გირჩევთ ლექსი თქვენთვის დაიტოვოთ.

* თვითონ კი თბა, — პოლიტსამართველოს დახმარებით. ასოთ-ამწყობი.

ნიაზბი

ქართული
ზინტროფიკა



ნახ. მარიაშვის.

“უცხოელი გენერალი: — უცნაური გულუბრყვილობაა საბჭოთა დელეგაციის მიერ ერთა ლიგის მშვიდობიანობის შესახებ ლაპარაკი. ჯერ ომი უნდა დავიწყოთ და მშვიდობიანობაზე კი შემდეგ უნდა ლაპარაკოთ!

— რატომ, ისიც შეიძლება, რომ ჯერ მშვიდობიანობაზე ვილაპარაკოთ და შემდეგ ომი დავიწყოთ!